კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტი - „კამათის ხელოვნება"

დებულება

„ვკამათობთ არა კამათისთვის, არამედ ვკამათობთ შედეგისთვის"

პროექტის მიზნები:
ახალგაზრდებში არგუმენტირებული კამათის კულტურის, კრიტიკული აზროვნების, სასაუბრო დროის რაციონალურად სარგებლობის, საჭირო მასალებისა თუ ინფორმაციის მოძიების უნარების განვითარება. ასევე, მათი სწორად გამოყენება, კომპრომისის ნახვა და შეთანხმება.

პროექტში მონაწილეობის უფლება აქვთ საჯარო და კერძო სკოლების XII კლასის მოსწავლეებს.

პროექტის ფორმატი:

ვისმენთ ლექციას, ვკამათობთ, ვპოულობთ კომპრომისს, ვთანხმდებით;

- პროექტი შედგება ორი ეტაპისგან: ლექცია და თამაში;
- რეგისტრირებული გუნდები თამაშამდე ისმენენ სალექციო კურსს -
    - ✓ ზოგადი ლექცია კამათის ხელოვნების შესახებ
    - ✓ კამათის ხელოვნება ჟურნალისტიკაში
    - ✓ კამათის ხელოვნება იურისპრუდენციაში
    - ✓ კამათის ხელოვნება დიპლომატიაში

- ლექციის წაკითხვის შემდეგ გუნდები წყვილდებიან არჩეული თემების მიხედვით;
- გუნდი შედგება 5 მოთამაშისგან და ჰყავს კაპიტანი;
- დისკუსიის დრო - 30 წთ (20 წთ. - კამათისთვის, 10 წთ. - შეთანხმებისთვის / კომუნიკეს მიღება);
- ლექციები ტარდება ორშაბათს(18 აპრილი - პეტრე მამრაძე) ,
  ორშაბათი - (2 მაისი - პეტრე მამრაძე);
  სამშაბათი - (3 მაისი - გიორგი ფარეშიშვილი);
  ოთხშაბათი - (4 მაისი - ირინა ბათიაშვილი);
  ხუთშაბათი - (5 მაისი- ირმა ჭოლაძე);

შაბათი (14 მაისი თამაშები და დახურვა).

სერთიფიკატის გაცემისთვის სავალდებულოა ლექციების მოსმენა და ერთი თამაში.

პროექტის ხანგრძლივობა - 2 კვირა

მნიშვნელოვანი თარიღები:

- **26 აპრილი - 30 აპრილი** რეგისტრაცია;
- **2-3-4-5 მაისი** - ლექცია;
- **14 მაისი**- თამაში და პროექტის დახურვა.